ეროვნული ბიბლიოთეკა


# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება


საქართველოს რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ. РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ.

დამატების № 302. კვირა, 27 მარტი 1905 წ. გაზეთის № 2782

# კ ა რ მ ე ლ ა

მოთხრობა ედ. დე-ამიჩისისა

(იტალიურით)

## IV*)

კარმელას დედა სოფლის განაპირას სცხოვრობდა ერთ პატარა ღარიბულ სახლში. მეზობლებად ჰყავდა ორი თუ სამი ხელმოკლე გლეხი. თეთრეულსა ჰკერავდა და დღეს-ხვალიობით რის ვაგლახით თავს ირჩენდა. როცა მისი ქალი ჭკუაზე შესცდა, პირველ ხანებში უფრო შეძლებული სოფლელები ეხმარებოდნენ ხან ერთი და ხან მეორე; მაგრამ ამ უკანასკნელ დროს არავინ რას აძლევდა. ქველმოქმედნი ამბობდნენ, ტყუილად რად დავეხმაროთ, სულ ერთია, ქალი არც პურსა სჭამს სახლში და არც იძინებსო და, გარდა ამისა, რაც უნდა ახალი ტანისამოსი ჩავაცვათ, ერთ კვირაზე მეტს ველარ უძლებსო. მხოლოდ უბედური დედა იწვოდა მისის საცოდაობით; ეფერებოდა, ემუდარებოდა, დაუჯერე, შვილო, დადა-შენსაო; მაგრამ იმასაც კი ცდა ამაოდ უვლიდა. ხანდისხან, ბევრის ხვეწნისა და ჰირის-მოჰმის შემდეგ, საწყალი ქალი დედას ნება მისცემდა მისთვის ახალი ტანისამოსი ჩაეცმია, მაგრამ რამდენისამე წუთის განმავლობაში ყველაფერს შემოიფხრეწდა და ძონძებად აქცევდა. ხანდისხან კიდევ დაბანილი, დავარცხნილი დედის ხელებს თავს დააღწევდა თუ არა, თმაში ხელებს წაივლებდა, აიჩეჩდა საშინლად და ტანისამოსს შემოიგლეჯდა, ისე რომ მისი შეხედვა ადამიანს გულსა ჰზარავდა.

დღისით უმეტეს ხანს განმარტოებულ და ციცაბო კლდეებზე დაბობღავდა, ხელებს აქნევდა, ლაპარაკობდა და იცინოდა მარტო. კარაბინიერებს ბევრჯელ უნახავთ, რომ გულმოდგინედ ქვების ხუხულებს აკეთებდა, ან და კლდის თავზე იჯდა და ზღვას გაჰყურებდა, ან კიდევ მიწაზე იყო გართხმული და ეძინა. კარაბინერებს რო დაინახავდა, მანამდე უყურებდა, სანამ თვალთაგან არ მიეფარებოდნენ; რაც უნდა ეთქვათ, პასუხს არ გასცემდა, არც სიტყვით, არც საქმით, აღარც ღიმილით. მხოლოდ ათასში ერთხელ, ორსავ ხელს მათკენ გაიშვერდა, ვითომ და თოფს გესვრითო, და ისიც მაშინ, როცა დარწმუნდებოდა, ძალიან შორს არიან ჩემზედაო; მაგრამ ამასაც სერიოზულ სახით შვრებოდა. ასე იქცეოდა სალდათებთან, ასე ეჭირა თავი ყველასთან. არავის ელაპარაკებოდა, არავის უცინოდა. გაუვლიდა შეკრებილს ხალხს შუაში, გაუვლიდა წინ, მაგრამ ვისაც რა უნდა ეთქვა მისთვის, თავს არ აიღებდა, შეხედვითაც არავის შეხედავდა. ვისმე რომ გაებედნა და ხელი ეხლო ან მის ტანისამოსისთვის მოეწია, ისეთს სილას გააწნავდა, რომ თითები ზედ სახეზედ აღბეჭდოდა.

დაფდაფის ხმას ყურს მოჰკრავდა თუ არა, იმ წამსვე



რუსის ჯარის დაბრუნება მუკდენიდან.

*) იხ. ,,დამატება'' № 301.

# სათადარიგო სალდათების გაცილება



უკანასკნელი ვახშამი ოჯახში.



მამა ლოცავს წასვლის წინ.

იქ გაჩნდებოდა. სალდათები დაბიდან გადიოდნენ ზღვის პირისაკენ სავარჯიშოდ, და კარმელაც მათ მისდევდა. უნტერ-იფიცრები სალდათებს რომ სწავლებას დაუწყებდნენ და აფიცერიც შორი ახლოდან თვალს ადევნებდა, ქალი მოშორებით დადგებოდა და სერიოზულ სახით სალდათების მოძრაობას ჰბაძავდა, ხელშიაც ჯოხი ეჭირა და თოფსავით ატრიალებდა, თანაც დაბალის ხმით უნტერაფიცრის ნათქვამს იმეორებდა. მერე ერთბაშად ჯოხს დააგდებდა და აფიცრის გარეშემო ტრიალს იწყებდა, ალერსით უყურებდა და იღიმებოდა, უუტკბილეს სიტყვებს ეუბნებოდა, ხმა დაბლა, თანაც ტუჩებზე ხელებს იფარებდა, სალდათებმა არ გაიგონონო.

შიგ დაბაში კი ერთავად მოედანზე იდგა აფიცრის სახლის პირდაპირ. გარშემო ქუჩის ბავშვები ეხვივნენ და ისიც ათას გვარ მასხარობით ართობდა. ხან ქალალდისაგან წოწოლა და განიერ კალთებიან ქუდს გაიკეთებდა, თავზე ჩამოიფხატავდა, დიდს ჯოხს ხელში დაიჭერდა და დუდლუნით სიარულს იწყებდა,—ვითომ დაბის მოურავსა ჰბაძავდა. ხან თმებში ქაღალდის ნაჭრებს გაიკეთებდა, თვალებს ძირს დახრიდა, პირს მოჰკუმავდა, ცალის ხელით მარაოსვით ქნევას იწყებდა და მოდუნებულის სახით სიარულს შეუდგებოდა—კვირა-უქმე დღეს აქაური ქალბატონები ასე დადიან ეკკლესიაშიო. ერთხელ კიდევ ყაზარმის კარწინ სალდათებისგან გადაგდებული და დაფჰრეწილი ქუდი აიღო, თავზე ყურთამდე ჩამოიფხატა, ისე რომ თმა სულ შიგ დაიმალა, მერე ხელები ძირს დაუშვა და მხრებ-აწურულმა რამდენჯერმე შემოუარა მოედანს, სალდათსავით. თანაც დაფდაფის ხმას ჰბაძავდა, სერიოზულ სახით, გაშეშებული, სარჩაყლაპულსავით, მაგრამ რაც უნდა ექამნა ან ეთქვა, ხალხი ყურადღებას არ აქცევდა. მხოლოდ ბავშვები და განსაკუთრებით ქუჩის ბიჭ-ბუჭები იყვნენ მისი მაყურებელნი. დედები ცდილობდნენ ბავშვები შორს დაეჭირათ კარმელაზე. ამიტომ რომ ერთ დღეს, თვისის ჩვეულების წინააღმდეგ, რაღაც ჟინმა მოუარა და ერთი ასე რვა წლის, ყველაზე ლამაზი ბავშვი გამოარჩია მაყურებლებში და მანამ ჰკოცნა გაშმაგებით, რომ ბავშვს შეეშინდა, ჩემი დახრჩობა უნდაო, და ტირილი და ღრიალი მორთო.

ხანდისხან ეკკლესიაშიაც შევიდოდა ხოლმე. დაიჩოქებდა, ხელებს სხვებსავით ერთად გულზე დაიკრებდა და რაღასაც თავისთვის ბუტბუტებდა. მაგრამ რამდენიმე წამიც არ გაივლიდა, რომ აიტეხდა სიცილს და უმართებულო ქცევას მოჰყვებოდა, ისე რომ მნათე იძულებულიყო ხოლმე ხელი მოეკიდნა და გარედ გაეყვანა.

მშვენიერი ხმა ჰქონდა და როცა კარგად იყო, ლამაზადაც მღეროდა ხოლმე; მაგრამ რო მოუვლიდა, რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ნირშეუცვლელ ზმუილს-ღა უშვებდა პირიდან, განსაკუთრებით როცა თავის ქოხის ზღურბლზე ან და აფიცრის სახლის კიბის საფეხურზე იჯდა. თან ზმუოდა და თანაც ინდის ხურმასა ღეჭდა. ამ ხილის მეტს თითქმის არაფერსა სჭამდა.

მაგრამ იმასაც მოუვლიდა ხოლმე ჭმუნვარება და დარდი. ამ დროს არც ხმას იღებდა, აღარც იცინოდა, ბავშვებთანაც კი. სახლის კარებ წინ იჯდა მთელის დღეობით, თავი კალთაში ედო ან სახეზე, თავიჩითი ჰქონდა მიფარებული და გარშემო რაც უნდა ხმაურობა ყოფილიყო, ვისაც უნდა დაეძახნა მისთვის, თუნდ თვით დედასაც კი, არც თავს აიღებდა და აღარც ხმას გასცემდა. მაგრამ ამ მდგომარეობაში იშვიათად ნახავდით; უმეტეს შემთხვევაში მხიარულ გუნებაზე იყო.

სალდათებს, როგორცა ვსთქვით, არც ყურს ათხოვებდა, არც უყურებდა; მთელს თვისს საალერსო სიტყვებს აფიცრებისათვის იზოგავდა. მაგრამ აფიცერიც იყო და აფიცერიც! ყველას როდი ექცევოდა ერთგვარის ალერსიანობით. რაც საავადმყოფოდან გამოვიდა, რაზმი ექვსჯერ თუ შვიდჯერ გამოიცვალა და ყოველ რაზმს სულ სხვადასხვა ხნის, სხვადასხვა სახის და სხვადასხვა ხასიათის აფიცერი მიჰყვებოდა. კარმელას უფრო ახალგაზრდა აფიცერი მოსწონდა; ლამაზსა და უშნოს ერთმანეთში არჩევდა, თუმცა ყველას ერთნაირად ეძახდა: „ჩემო საუნჯე“, „ჩემო საყვარელო“, სხვათა შორის, ერთი აფიცერი მოვიდა, ცხვირა, მუცელ გამობერილი, მწვანე თვალებიანი, ბოხი ხმიანი. კარმელას ამ აფიცრისათვის ალერსიანად თავის დღეში არ შეუხედავს. ეს აფიცერი პირველად რომ შეხვდა, ორიოდ საალერსო სიტყვა უთხრა, მაგრამ აფიცერმა ცივად უპასუხა, თანაც მუქარით ხელი მოუღერა და გააგებინა, სჯობს თავიდან მომწყდეო. კარმელასაც შორს ეჭირა თავი, მხოლოდ როცა კი შეხვდებოდა, უკან გაედევნებოდა შორი-ახლო ან ყოველ ღამეს მის სახლის კიბის მახლობლად იჯდა. აფიცერი სახლში შედიოდა, თუ სახლიდან გამოდიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



პატარა შეიდი მამას სამეზღვაო ტომარას აწვდის



პირველი პურის ჭამა ყაზარმაში.

და, კარმელა არაფერს ეუბნებოდა, ადგილიდან არ იძვროდა. ამნაირადვე ექცეოდა ორს სხვა აფიცრებსაც. ესენიც თავიანთის გარეგნობით და ხასიათით პირველსა ჰგვანდნენ. მაგრამ მათს შემდეგ ახალგაზდა და ლამაზი აფიცრები მოვიდნენ და კარმელა ისე იქცეოდა, იტყოდით, გიჟი რომ არ იყოს, გაგიჟდებაო. ზოგმა მათთაგანმა მისი მორჩენა და შეყვარება განიზრახა, მაგრამ რაკი საქმეს მსუბუქად მოჰკიდა ხელი, სამ-ოთხ დღის უკან მოჰბეზრდა და განზრახვაზე ხელი აიღო. ზოგმა კი, უფრო ნაკლებ კაცთმოყვარემ და უფრო სარგებლობის აზრით გატაცებულმა, თავისს თავსა ჰკითხა: განა საჭიროა ლამაზს ქალს უეჭველად საღი ჭკუა ჰქონდესო. პასუხად თავის თავსავე გასცა: რა თქმა უნდა, არაო! და შეეცადა დაეჯერებინა კარმელა, რომ სიყვარულისთვის გონება მეტი ბარგიაო, მაგრამ ქალმა სრულობით მოულოდნელი წინააღმდეგობა გაუწია. კაცმა რო სთქვას, გადაწყვეტილად და პირდაპირად არ უთქვამს უარი, ალბად იმიტომ, რომ, შეიძლება, არც კი ესმოდა გარკვევით, რასა სთხოვდნენ; მაგრამ, თითქო ინსტინკტიურადო, აფიცრის ყოველს მოძრაობაზე უკან იხევდა; ან და ხელებს წინ გაიშვერდა, მოსარიდებლად. ან კიდევ გულზე დაიკრებდა, მოიბუზებოდა და რაღაც უცნაურად დაიწყებდა სიცილს. ამ შემთხვევაში სწორედ ბავშვს ემსგავსებოდა, ბავშს, რომელსაც ეხუმრებიან ან უნდათ ულიტინონ და ისიც აცნობებს, მიგიხვდი, უნდა მილიტინო, მაგრამ ის კი არ ვიცი კარგად, რა ადგილას უნდა მომკიდო ხელიო. ამ დროს ქალს სახე გაუცხოვლდებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა და ისე გეგონებოდათ, შეშლილს არაფერი უგავსო. მაშინ უფრო შვენოდა. კდემამოსილება, თავდაჭერილობა მისს ყოველს მოძრაობას აკეთილშობილებდა, მიმზიდველადა ხდიდა. ერთის სიტყვით, ვინც-კი სცადა ქალი თავის ნებაზე დაეყოლებინა, დარწმუნდა, რომ მისი დაყოლიება შეუძლებელი იყო. ერთმა აფიცერმა ექიმს შესჩივლა, ყოველმა ცდამ უნაყოფოდ ჩამიარაო და ბოლოს დასძინა:—მინახავს ქალი, რომ სათნოება მისი ყოფილიყოს ნაყოფი აზროვნებისა, გულისა, ჭკუა-გონებისა, მაგრამ ქალს რომ ეს სათნოება თვით სისხლში, დიახ სისხლში ჰქონებოდეს, ამას, რაც თავი შემისწავლია, პირველადა ვხედავ! ზოგიერთნი ამბობდნენ, რომ ყოველი აფიცერი, რომელიც კი მოეწონება, ის აფიცერი ჰგონია, რომელმაც შეიყვარა და მერე თავი რომ დაანებაო. მაგრამ, ალბად, სცდებოდნენ ამის მთქმელნი, ამიტომ რომ როცა სიტყვას გადაუკრავდნენ წინანდელ საყვარელზე, ქალი მის შესახებ ხმასაც არ იღებდა, რაც უნდა ეთქვათ, თავი ისე ეჭირა, თითქო რასაც ეუბნებიან, არაფერი ესმის და არც არაფერი აგონდებაო; როცა ეკითხებოდნენ რასმე, გულმოდგინედ უგდებდა ყურს, და მერე ერთბაშად სიცილს იწყებდა. როცა რაზმი წასვლას დააპირებდა, ქალი ნავთსადგურამდე გააცილებდა და მოშორებულს ნავს დიდხანს უქნევდა ცხვირსახოცს. ტირილით კი არა სტიროდა, არც რამე მწუხარება ეტყობოდა. მაშინათვე უკან ბრუნდებოდა, რომ ახალმოსულ აფიცრისათვის დაეწყო ალერსი. უკანასკნელად მოსული ცოტათი სხვებზე მეტად მოსწონდა.

## V

ექიმი მალე დაბრუნდა და ყოველივე ეს აფიცერს უამბო. აფიცერმა ხელი დაავლო თანამოსაუბრეს და ხელახლა წამოიძახა:—დასწყევლა ღმერთმა, რა ლამაზია!

— მაშ! და მერე რა ამაყი და კეთილშობილ ხასიათისა უნდა იყოს!—დასძინა ექიმმა.

აფიცერი გავიდა. შუაღამეს გადასულიყო და მოედანზე ძე-ხორციელი არა სჩანდა. მისი სახლი საყავოს პირდაპირ იყო. ნებად თითქმის უგუნებოდ გასწია შინისაკენ.—იქ დამხვდება,—თავის თავს ეუბნებოდა, თანაც თვალებით კარგად აკვირდებოდა და თავს იქით-აქედ ხრიდა, რომ დაენახა კარებთან ვინმე იდგა თუ არა. მაგრამ საშინლად ბნელოდა და ვერაფერს არჩევდა. მაინც მიდიოდა ყურებ დაცქვეტილი, ხან შედგებოდა და დააკვირდებოდა, იქნება დავინახოვო.—რო ვიცოდე, რომ კარებთან ავაზაკი მელის, დანა ამოწვდილი, ჩემ მოსაკლავად განმზადებული, მაინც არ დავიხევდი უკან, ის კი არა უფრო თამამად და გაბედულად წავიდოდი,—გაიფიქრა გულში აფიცერმა და ათიოდ ნაბიჯი კიდევ გადასდგა.—ემანდე!—სთქვა აფიცერმა და მიუახლოვდა. ქალი კიბის საფეხურზე იჯდა გარედან; ბნელაში სახე-კი ვეღარ გაარჩია. უფრო მიუახლოვდა და ჰკითხა:

— აქ რასა შვრებით?

ქალმა მაშინათვე არ უპასუხა. წამოდგა, მის პირდაპირ გაჩერდა, ისე რომ ორისავ გული ერთიმეორეს ეკვრებოდა' ორივე ხელი მხრებზე დაადო და ტკბილის, სულ ტკბილიი ხმით უთხრა:

— შენ გიცდიდი... მეძინა.

— მე რაღად მიცდიდი?—ჰკითხა ხელ-ახლა აფიცერმა და ქალის ხელები თავისს მხრებს მოაშორა. კარმელამ მკლავები დაუჭირა.

— იმიტომ, რომ შენთან ყოფნა მინდა.

„რა საუცხოვო ხმა აქვს!—სთქვა გულში აფიცერმა.—კაცს ეგონება, შეშლილი კი არა, ჭკუიანი ლაპარაკობს სერიოზულადო".

მაშინათვე ჯიბიდან ასანთი ამოიღო, გაჰკრა და კარმელას სახე გაანათა, რომ მისი თვალები კარგად დაენახა. დაღლილობას მის სახისათვის ცოტაოდნავ მოეშორებინა მისი ჩვეულებრივი უსაზღვრო და მკრთომარე სიცხოველე და მის მაგიერ ზედ აღბეჭდა ჰმუნვა და სევდა. საოცნებო არსებას უფრო გავდა, ვიდრე შეშლილს.

— ოხ, ძვირფასო, ძვირფასო!—წამოიძახა კარმელამ, აფიცრის განათებული სახე რომ დაინახა; ხელი გაიწოდა და მის ნიკაპს ცერი და სალოკი თითი მოუჭირა. აფიცერმა ცალი ხელი მოჰკიდა. ქალმა თავის მხრივ მეორე ხელი აფიცრის ხელს დაავლო და ტუჩთან მიიტანა, აკოცა და უკბინა. აფიცერი შეხტა, სახლში შეჰვარდადა კარები მიიხურა.

— ჩემო საუნჯე!—ერთხელ კიდევ მიაძახა კარმელამ და მერე ჩამოჯდა კიბის საფეხურზე, ხელები მუხლზე გადაიჯვარედინა, თავი განზე გადაიგდო და მალე ძილი მოერია კიდეც.

აფიცერი შინ შევიდა თუ არა, სამთელს მოუკიდა და მარჯვენა ხელზე დაიხედა. რვა კბილის კვალი და ათრთოლებულ ტუჩების სისველე კიდევ ეტყობოდა.—რა სიყვარული სცოდნია ამ ხალხსა!—ხმამაღლა წამოიძახა თავისთვის, მერე სიგარას მოუკიდა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო, თან თავისი რაზმი მოაგონდა, მოაგონდა—როდის რა უნდა გაეკეთებინა.—მაგრამ ამაზე ხვალ იყოს,—წამოიძახა ერთბაშად და სულ სხვა საგანზე გადავიდა. დაჯდა, გადაშალა ერთი წიგნი, რამოდენიმე გვერდი წაიკითხა, ისევ ბოლთის ცემა დაიწყო; შემ..ეგ ისევ კითხვას შეუდგა; ბოლოს გადასწყვიტა დაწოლილიყო დ.. დაეძინა. ტანისამოსის გახდა თითქმის გათავებული ჰქონდა, რომ უცბად ერთმა აზრმა გაუელვა თავში, ერთს წამს შედგა და ფიქრში გაერთო, მერე სარკმელთან მივიდა, ხელი გაიწოდა გასაღებად... გააღო, მხრები შეიშმუშნა და დასაძინებლად გამოტრიალდა.

მეორე დღეს დანიშნულ ჟამს მოსამსახურე სალდათი მის ოთახში ფეხაკრებით რომ შევიდა, თავისი ბატონი უკვე გამოღვიძებული დაინახა. სახტად დარჩა, იმიტომ რომ აფიცერს ჩვეულებად არა ჰქონდა თავისთავად გაეღვიძნა როდისმე. სალდათმა ღიმილით მოახსენა:

— ძირს, კარებთან, გიჟი ქალია...

— რას აკეთებს?

— არაფერს; ამბობს, ბატონ აფიცერს ვუცდიო.

აფიცერმა თავს ძალა დაატანა, რომ არ გაეცინა. მერე სალდათს შეხედა და რომ დაინახა, თუ რა მარდად სწმენდდა მის ტანისამოსს, თავისთვის ჩაილაპარაკა: რა მოსვლია ამ კაცს, რომ ამ დილას ასეთს გულ-მოდგინებას იჩენსო! ტანისამოსი რო ჩაიცვა, კითხა:

— აბა გადახედე, თუ ისევ აქ არის?

— რას შვრება?

— კენჭებს ათამაშებს.

— ზევით ხომ არ იყურება!

— არა ბატონო.

— სადა ზის, სწორედ კართან, თუ მოშორებით, განზე.

— განზე გახლავსთ.

— მაშ შემიძლია გავექცე.

სთქვა ეს აფიცერმა და ძირს ჩამოვიდა. მაგრამ მისმა ხმალმა ჟღარუნი დაიწყო და ქალმაც გაიგონა.

— გამარჯობა! გამარჯობა!—დაუძახა კარმელამ და კიბეზე შეეგება. როცა ახლოს მივიდა, მის წინ დაიჩოქა, მის ფეხს ხელი მოჰკიდა. მერე ჯიბიდან ამოღებულ ცხვირსახოცით მის წაღას წმენდა დაუწყო და თანაც ეჩურჩულებოდა:

— დამაცა, დამაცა, ერთი წამი კიდევ მოითმინე, ძვირფასო, თავს შემოგევლე; ერთი წამი კიდევ, ასე, აჰანდე, ახლა კი წმინდაა...

— კარმელა!—შეუტია ბრძანებითის კილოთი აფიცერმა. თავისი ფეხი ძალით გამოჰგლიჯა პატარა ხელიდან, და თითქმის სირბილით მოშორდა, მთლად აშფოთებული და განაწყენებული.

თ. ს.

(შემდეგი იქნება)

## ქართული ანდაზა




ვირისაგან წიხლი ვის ეწყინება!



— ბატონო, ერთი დედაკაცია, ავადმყოფთან მობძანდით, ორ ექიმთან ყოფილა და არც ერთი არ გაჰყოლია.

ექიმი.—იმათზე ნაკლები ვარ, რომ მე გავყვე?!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი